გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

მართა ბექანის ასული დემუროვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას შვილისა თვისისა ნიკოლოზ დავითის ძის დემუროვისას და სთხოვს მობრძანდნენ პარასკევს, 21 მკათათვეს, დილის 9 საათზე, საკუთარს სახლში, მუხრანის ქუჩაზე, № 13, საიდამაც მიცვალებულს გაასვენებენ ანჩისხატის ეკკლესიაში. (1—1)

ტფილისი, 19 მკათათვე

გუშინდელს წერილში ჩვენ ვამბობდით, რომ რუსეთის გლეხ-კაცობა ეკონომიურად მეტად დაქვეითებულია, საკმაო და კარგი ადგილ-მამული არა აქვს და ამის გამოც იძულებულია მამულ-დედულს თავი დაანებოს და სხვაგან შორს ეძიოს ბინაო. ამიტომაც არის, რომ ყოველ წლივ დიდ-ძალი რუსის გლეხ-კაცობა მიეშურება ციმბირისაკენ და კავკასიისაკენაც, და მართებლობაც უთმობს თავისუფალ ადგილებს. მაგრამ დღემდე გლეხ-კაცობის გადასახლების საქმე რიგიანად მოწყობილი არ არის და ამიტომ დიდ-ძალი ხალხი იღუპება თავისის საცხოვრებლით ან გზაზე და ან ახალს ბინაზე, რომლის გარემოება და ჰავა, ერთის სიტყვით, მთელი ვითარება იმისთვის უცხო და უცნობია. ეს განსაკუთრებით იმ გლეხ-კაცობის შესახებ ითქმის, რომელიც კავკასიაში მოდის, იმ ქვეყანაში, რომლის ჰავა, ბუნება და კულტურაც იმისთვის უცხო და შეუფერებელია.

კავკასიაში მართებლობას თავისუფალი ადგილები აქვს და დიდი ხანია სცდილობს ეს ადგილები რუსის ტომის ხალხით დაასახლოს და ამიტომ ეს საგანი ფრიად საგულისხმო და საყურადღებო უნდა იყოს მკითხველებისათვის.

კავკასიაში მართებლობას თავისუფალი ადგილები აქვს, სხვათა შორის, შავის ზღვის ნაპირებზედაც და როცა კავკასიის დასახლების შესახებ ლაპარაკობენ ხოლმე, საკუთრივ ეს ადგილები აქვთ მხედველობაში, რადგანაც ეს ადგილები ბუნებით უხვი და მდიდარია და დიდი საპოლიტიკო მნიშვნელობაცა აქვს.

რუსულმა მწერლობამ მეტი ყურადღება ამ ადგილების საპოლიტიკო მნიშვნელობას ათხოვა და იმ აზრზე შესდგა, რომ ეს ადგილები უსათუოდ რუსის ტომის ხალხს უნდა დავუთმოთო, საკუთრივ ყაზახ-რუსობას, რომელიც პოლიტიკურადაც სხვა ტომის ხალხზე უფრო საიმედო იქნებაო. ეს აზრი რამდენიმე რუსულმა ჟურნალმა და გაზეთმაც წარმოსთქვა და სხვა-და-სხვა სამეცნიერო საზოგადოებამაც. ამ აზრს ჰქადაგებდნენ. ჟურნალს «Сѣверный Вѣстникъ»-ში ბ-ნი შავროვი, „Русскій Вѣстникъ“-ში ბ-ნი დუკმასოვი და „Экономическій Указатель“-ში ბ-ნი ელისეევი. იგივე აზრი წარმოითქვა ეგრედ წოდებულ „Вольно-Экономическое Общество“-ში და ყველას, ვინც ამ აზრს ჰქადაგებდა, აშკარად ეტყობოდა, რომ მხედველობაში აქვს საკუთრივ საპოლიტიკო მნიშვნელობა შავის ზღვის ნაპირებისა, რადგანაც ყველასათვის ცხადი იყო, რომ ყაზახ-რუსობა, ვითარცა სამხედრო წოდება, რომელსაც ვალად აწევს სამხედრო სამსახური და რომელიც ვერ არის ცნობილი მუყაით და მშრომელ ხალხად, უკვე გავერანებულს შავის ზღვის ნაპირებს ვერ გამოაბრუნებდა და ადგილების ბუნების სიუხვესა და სიმდიდრეს ვერ გამოიყენებდა.

ამ ჟურნალების აზრის გამორკვევას ჩვენ აქ არ შევუდგებით, რადგანაც ამ საგანს თავის დროზე «ივერიამ» რამდენიმე წერილი უძღვნა. ხოლო მოკლედ უნდა ვსთქვათ, რომ ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში მართებლობამ რამდენჯერმე სცადა რუსის ტომის გლეხობისა და ჯარის კაცების დასახლება შავის ზღვის ნაპირებზე, მაგრამ ეს ცდა უქმი გამოდგა. უცხო ქვეყნისა, ბუნებისა და კულტურის ხალხი ვერ შეეთვისა კავკასიის ბუნებას, ჰავასა, და ვერ გაუძლვა ადგილობრივს კულტურას. დიდ-ძალი ფული დახარჯა მთავრობამ, დიდ-ძალი ხალხი იმსხვერპლა შავის ზღვის ნაპირების ჰავამა და ძლიერმა ბუნებამ და უცხო ტომის ხალხმა-კი იქ ფეხი ვერ მოიკიდა.

ამ სახით დღესაც თვალ-წინა გვაქვს უკაცოდ დარჩენილი შავის ზღვის ნაპირი მიწა-წყალი, რომელიც, მას შემდეგ, რაც იქიდგან ძველადგანვე ბინადარი მკვიდრი აიყარა, გავერანდა და ადამიანს ვერ დაუმორჩილებია. დღესაც ის საკითხი გვიძევს თვალ-წინ, თუ ვინ უნდა დაასახლონ შავის ზღვის ნაპირებზე. ამ საკითხს მრავალჯერ შეჰხებია აქაური მწერლობა, ქართული, თუ რუსული, რომლის აზრიც ფრიად საყურადღებო და საპატიოა. ამ მწერლობას ზედმიწევნით აქვს გამორკვეული შავის ზღვის ნაპირების ვითარება და ისიც, თუ რა ტომის ხალხს უფრო შეჰშვენის იქაური ჰავა და ბუნება. იმის აზრით, ქართველ ტომს, რომელიც ძველის-ძველადგანვე მეურნე არის და კავკასიის ბუნება და ჰავაც შეფერებული აქვს, სხვებზე მეტი მოხერხება და ძალ-ღონე აქვს შავის ზღვის ნაპირებს სული ჩაუდგას და ეს ადგილები დაიცვას მტრის შემოსევისაგანაო. იმავე მწერლობის აზრით, მით უფრო ადვილი და სასურველია იმ ადგილებისა ქართველთა ტომით დასახლება, რომ საქართველოს ზოგს ნაწილებში, მაგალითად, სამეგრელოსა და იმერეთში, დიდი ხანია ხალხი ადგილ-მამულის ნაკლებობას და სივიწროესა ჰგრძნობს და ამიტომ მიეშურება ჩრდილოეთ-კავკასიისა და შავის ზღვისაკენ.

ეს საუბარი მკითხველს იმიტომ გავუმართეთ, რომ ამის საბაბი გაზეთ „Кутаисскія Вѣдомости“-ს მე-28 ნომერმა მოგვცა. გაზეთი ლაპარაკობს იმაზე, თუ რამდენად სასურველია შავის ზღვის ნაპირების დასახლება და რომელს ტომს უფრო შეჰშვენის და ძალ უძს იქ დასახლება. იმის აზრით „ყაზახრუსები“ სრულიად გამოუდეგარნი იქნებიან იმ ადგილებში, რადგანაც იმათი ზნე და ჩვეულება არ შეჰფერის შავის ზღვის ნაპირების ბუნებას და არც იმდენად გამრჯელნი არიან, რომ მდიდარი და ძლიერი ბუნება დაიმორჩილონ. ამიტომ, გაზეთის აზრით, სხვა ტომი უნდა ვეძიოთო:

> ამ ადგილებისათვის, ამბობს გაზეთი, საჭიროა ისეთი ხალხი, რომელსაც შესაფერი ზნე-ჩვეულება აქვს, კულტურის ნიჭი და მოხერხებაც შესწევს, შრომასა და ბუნებასთან ბრძოლას შეჩვეულია. ერთის სიტყვით, ისეთი ხალხია საჭირო, რომელ-

# ფელეტონი

## ბატონ-ყმობა საქართველოში

### რუსეთთან შეერთებამდის.

უძღვნი პატივცემულს პროფესორს ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს.

### VI*)

ვახტანგის ყმა იყო ნაყოფი სამ გვარის ელემენტისა: ნასყიდისა, ბოძებულისა და თავისუფლად ყმად შესულ გლეხისა, „ნასყიდი“ და ტყვე იყვნენ პირველნი ყმანი ბატონისა. აქედამ გადავიდა ვახტანგის ყმაზედ იგი პრინციპი, რომ „ყმისა ყველა ბატონისა არის“ (§ 258 ვახტ. კანონისა). ძველი პრინციპი quodcumque per servum, adquiritur id domino adquiritur გავრცელდა თანასწორედ ნაბოძებზედ და თავისუფლად ყმად შესულზე. ნაბოძების და თავისუფალ ყმის პატრონისაგან მიწის მფლობელი გახდა ბატონად: იმას მიეცა უფლება დატუქსვისა და დასჯისა [1]); იგი იცნეს მსაჯულად გაყრისა და უთანხმოების დროს ყმათა შორის [2]).

რა განსხვავებაა ვახტანგისა და ალბულას კანონ-მდებლობაში? ვახტანგმა შეავიწროა ყმა, რომელსაც დაუწყო საერთოდ ცქერა, როგორც ნასყიდს, რომლის შესახებ მიღებული იყო მუხლი „ყმისა ყველა ბატონისა არის“. ალბულა-კი გლეხს აძლევდა საკუთარს ქონებას და მესამედსაც იმ სარჩოდამ, რომელიც იმან პატრონს შესძინა თავის შრომით [3]). მაშასადამე, ვახტანგის ყმამ დაჰკარგა ალბულას ყმასთან (დროებით მოვალესთან) შედარებით ერთი ნაწილი ქონებრივის უფლებისა. ყმა იცნეს როგორც პირი (субъектъ наказуемый), რომლის დასჯა შეიძლება გარდასახადით, ვალის გადახდაში [4]), მაგრამ იგი არ არის ცნობილი როგორც უფლებით აღჭურვილი პირი ითხოვოს ბატონისგან სისხლის ფასი, როცა იმისგან გახეიბრდა [5]). იგი არის ობიექტი და არა სუბიექტი უფლებისა.

გარდა ამ ქონებრივის უფლებისა ვახტანგის ყმამ დაჰკარგა ალბულას გლეხთან შედარებით ცოტა პიროვნული უფლებაც: თავდებობა ვახტანგის კანონით ყმას აეკრძალა [6]) წინაალმდეგ მე-§ 69 ალბულას კანონისა, რომლის ძალით ეს უფლება ყმას მინიჭებული ჰქონდა. აქ დაეტყო ვახტანგის რეფორმას ბერძენთა კანონების ზედგავლენა, თუმცა ძალად გადმონერგულმა სჯულ-დებამ ვერა ნახა მომზადებული ნიადაგი. ამიტომაც, წინაალმდეგ ბერძენთა წარმოდგენისა [7]), ყმას ძველებურად შერჩა უფლება ფიცის მიცემისა [8]). ვახტანგის ყმა მაინც ისე შეხუთული არ არის, როგორც საბერძნეთში. თუმცა ერთი მუხლი ბერძენთა გავლენით ყმას ართმევს ქონებრივსა და პიროვნულს უფლებას, მაგრამ მეორე ჩვეულებრივი დადგინება საქართველოში ცოტად მაინც აძლევს ამ უფლებას [9]).

რადგანაც ვახტანგის ყმა დაიბადა სამის ელემენტის შეხედულობით, ამიტომაც მისი მდგომარეობა არ უნდა ყოფილიყო შევიწროებული. თავისი ნებით შესული ყმა და ნაბოძი დაასვამდნენ „ნასყიდს“ თავისს ბეჭედს, შეამსუბუქებდნენ იმის მდგომარეობას. ასეც მოხდა. როგორც შეგვიძლიან ვიფიქროთ a priori, წინდაწინვე თავის ნებით ყმად შესული ჩვეულებით გადადიოდა ერთის ბატონისგან მეორესთან და აძლევდა პირობას ბატონ-ყმობისას და იმასაც აღებინებდა „წიგნს“, რომ კანონიერად და სამართლიანად მოექცევა. ეს ჩვეულება ვახტანგმა განამტკიცა: „ბატონსაც, ჰბრძანებს ვახტანგის წიგნი: დაადებინოს, რომ უხელმწიფოდ ვერც მოკლას, ვერც გაახეიბროს“ [10]). თავის ნებით ყმად შესულმა ეს გარანტია ხელ-შეუხებლობისა და გადასვლისა გადასცა ვახტანგის ყმას [11]). „ნაბოძებმაც“ იქონია თავისი გავლენა. მეფე, როცა აძლევდა ყმას ბატონს, ნიშნავდა ამ უკანასკნელს პირველის პატრონად; ყმის შეწუხება ბატონის მიერ მეფისთვის არ იყო სასარგებლო, რადგან ყმის მდგომარეობის უკან დაწევა სახელმწიფოს დაქვეითება იყო. ამიტომაც მეფე უბრძანებდა ბატონებს მეტის გარდასახადით არ შეეწუხებინათ ყმა. ვახტანგმა ეს ჩვეულება შეიტანა კანონად; თუმცა ბატონი დანიშნა გლეხის ობლების მზრუნველად [12]), მაგრამ თვით აღევნებდა თვალს და დადგინებად აღიარებდა: „ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს“ [13]). ვახტანგი ამბობს საერთოდ ყმაზედ და არა კერძოდ ნაბოძებზედ და თავის ნებით ყმად შესულზედ, ესე იგი, ერთი და იგივე წარმოდგენა გავრცელდა,—ცოტა განსხვავებას რომ არ მივხედოთ ნასყიდ და ნაბოძებ შორის—ერთის იურისდიქციის ქვეშ მოექცნენ პრაქტიკულის ცხოვრების მოთხოვნილებით ნასყიდი—ვალ-გადუხდელი, ნაბოძებ-თავ-შეფარებული პატრონის მფარველობის ქვეშ. ესენი მიდიოდნენ პირდაპირ ერთმანეთისკენ: ერთი ჰკარგავს მცირე პიროვნულს უფლებას, მეორე იძენს ცოტაოდენს თავისუფლებას, რომ ერთად შედუღებულთ დაჰბადონ ის ბატონ-ყმობა, რომელიც მე-XVIII ს. მეფობდა. შეუმჩნეველი დაახლოვება ნასყიდისა და ბოძებულის შორის კანონით აღიარებულ იქმნა და განმტკიცებული იურიდიულის სანქციით.

რაკი ერთხელ გამოკვლეულ იქმნა ჩვეულება და კანონი ყმის შესახებ, იგივე წესი გავრცელდა საერთოდ გლეხზე, რომელიც ბატონის მიწა-წყალზედ სცხოვრობდა. ამ გვარად თუმცა ბატონ-ყმობა დაიწყო ტყვისა, ნასყიდისა და ვალ-გადუხდელისგან, რომელსაც (ბატონ-ყმობას) დაასვა თავის ბეჭედი ნაბოძებმა და თავის ნებით ყმად შესულმა, მაგრამ შემდეგ ყმობას ასაზღოვებდა და აძლიერებდა ბევრი სხვა გარემოება, რომელიც ულეეველი იყო ცხოვრებაში. ყმად ირიცხებოდნენ:

1) ყმის შვილი, ესე იგი, ყმობა გადადიოდა საშვილიშვილოდ: „მამა მისი კაცისა, ამბობს ვახტანგი: ყმა ყოფილიყოს და შვილი მისი ბატონს მიეცემოდეს“ [14]). სიგელებში არა ერთხელ შევხვდებით „მემკვიდრეობითს“ ყმას. მთელის ჩამომავლობის გასყიდვა, ანუ ყმად მიცემა თავისუფალის კაცის მიერ ბატონის მფარველობის ქვეშ ამტკიცებს ამ ჩვეულებას ყმობისას „на вѣчныя времена“ საუკუნოდ, სამუდამოდ, დაუსრულებ-

*) იხ. „ივერია“ №№ 148 და 150.

1) ვახტან. კანონები, § 98.

2) ვახტ. კან., §§ 80 და 98.

3) ალბულას კან., §§ 73, 74.

4) Обычаи, выраб. при царяхъ, 16.

5) ვახტანგ. კანონები, § 95.

6) ვახტანგის კან., § 235. და ალბ., § 69. Рус. Правда, § 117.

7) ბერძენთა კანონები, §§ 163, 165.

8) ვახტ. კან., §§ 12 და 200.

9) ib., §§ 258 და 248.

10) ვახტ. კან., § 258. მე-XVII ს., პუბლიცისტი კოტოშიხინი სწერდა რუსეთში: Въ уголовныхъ дѣлахъ сыскивати и указъ чинити помѣщикамъ и вотчинникамъ не велѣно“. მე-XVIII ს. კი ბატონებს მიეცათ სისხლის იურისდიქცია, რომელიც ვახტანგის კანონით ჩვენში აღკრძალული დარჩა.

11) ვახტ. კან., § 202.

12) ვახტ. კან., § 203.

13) ib., § 201.

14) ვახტ., კან. § 261 ср. Карѣевъ. французскіе крест., 44.

მაც უნდა სძლიოს ბუნება, დაუღალავად უნდა იშრომოს, ბუნებას მეტი სიმდიდრე გამოაღებინოს და კულტურას ფეხი აადგმევინოს გავერანებულს ადგილებშიო.

ამ გვარი ხალხი, გაზეთის სიტყვით, ქართველი ტომია, სახელდობრ, იმერლები და მეგრელები. გაზეთი ამბობს:

ეს ხალხი სხვებზე უფრო გამოსადეგია შავის ზღვის ნაპირების დასასახლებლად. იგი აღზრდილია სამხრეთის ბუნებისა და ჰავის ზედ-მოქმედების ქვეშ, ამ ჟამადაც იმავე კულტურას მისდევს, რომელიც შავის ზღვის ნაპირებზე მოელის, იმ გვარსავე მიწა-წყალზე ილვწვის და კიდეც დაუმორჩილებია. იგი ბუნებასთან ბრძოლაშიაც გამოცდილია და იცის, როგორ უნდა გამოიყენოს ბუნება და რა უნდა მოსთხოვოს.

ე. ი.

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, თვრამეტს ივლისს, ტფილისის საბრანიაში გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა ქართულის დრამატიულის არტისტების მიერ. წარმოადგინეს «ოინბაზი», ავქ. ცაგარლის ვოდევილი, „დათვი", ერთმოქმედებიანივე ვოდევილი, და მეორე მოქმედება აკაკის „თამარ-ცბიერისა". წარმოდგენაზედ საკმაო ხალხი დაესწრო და დიდად იმხიარულეს და ისიამოვნეს დამსწრეთ. „თამარ-ცბიერის" წარმოდგენის დროს ქ-ნს ბ. ავალოვისას მშვენიერი თაიგული მიართვეს.

** თ. ზ. ერისთავი, რომელსაც გორის მაზრის უფროსის ბ-ნ ალანდერის შეურაცხება ჰბრალდებოდა და ოლქის სასამართლომ, საქმის გარჩევისამებრ, სამის თთვით საპატიმროში დამწყვდევა გადაუწყვიტა სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯის ზღვევინებითურთ, სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილებულა და საქმე სააპელაციო განყოფილებაში გადააქვს.

*** ეხლა ჩვენის ქალაქის ექიმები და თვით პოლიციაც ძალიან გაფაციცებულნი უნდა იყვნენ, თორემ, ვინ იცის, რა სნეულება არ გააჩინონ ტფილისში ჩვენმა ბაყლებმა. ამათ ერთი უსაძაგლესი ჩვეულება აქვთ: ხილი ჯერ არ შემოსულა, რომ მაშინვე ჰკრეფავენ და თავ-მომწონედ ალაგებენ მწკრივად თაბხებზედ. ამ მკვახე ხილს ბაყალი ჩვეულებრივზედ ერთი სამადა ჰყიდის და მუშტარიც აძლევს, რადგან ახალი ხილია, ჯერ არავის დაუძლევიაო. აი ამ ჩვეულების წყალობით ისვრიმი ყურძნად იყიდება, ჰქერამი—გარგარად. ეხლაც ჯერ კიდევ შემოუსვლელი საზამთრო და ნესვები მოუტანიათ და თითოს სამ-ოთხ აბაზადა ჰყიდიან. საზამთრო ისეთი უვარგისია, რომ ჯერ კიდევ არ დატკბილებულა, გული არ გაუკეთებია, ისევ თეთრადა აქვს და გემოთიც მომჟავოა. აი ამისთანა შემოუსვლელს ნესვსა და საზამთროს-კი ტფილელნი დიდის სიამოვნებით ყიდულობენ, რადგან ახალი ხილია, ჯერ არავის დაუძლევიაო.

*** ტფილისის ქალაქის თავს ა. ს. მატინოვს კავკასიის გამოფენის კომიტეტისთვის უცნობებია, რომ ტფილისის ხელოსნებიდგან ას ორმოც-და-ორს კაცსა ჰსურს გამოჰფინოს თავისი ხელ-საქმეო.

*** ამ სიცხეების გამო ხარფუხში გაცოფიანებულა ერთი ვილასიც დიდი ძაღლი და დაუკბენია სხვა მაწანწალა ძაღლებიც. კარგი იქნება, რომ ბ-ნმა შეინფოგელმა იქითკენაც მიიხედოს ხოლმე და დაჰხოცოს მაწანწალა ძაღლები. ეს ცოფიანი ძაღლი მალე მოუკლავთ და არავინ და უკბენია ადამიანთაგანი.

*** სამშაბათს, 18 ამ თთვისას, პოლიციის მეშვიდე განყოფილებაში ბათუმის მცხოვრებელმა მულლა-ეფენდი-ალი-ოღლიმ მოიტანა გვამი თავისის ამხანაგისა მულლა-ალი-ეფენდისა და აცნობა, რომ როდესაც ყარაიაზიდგან ტფილისს მოვდიოდით, სოფელ ალტაგლას ახლოს უეცრად გარდაიცვალა მულა-ალი-ეფენდი. მეფურგუნე სულეიმანს რიღაცისა შეეშინდა, ფურგუნიდამ გადმოიღო გვამი და დააგდო მინდორში. ბევრი ვეხვეწე ტფილისამდე მოეტანა, მაგრამ ყურიც არ მათხოვა. დავრჩი მინდორში ჩემის ამხანაგის გვამთან. სულეიმანმა მითხრა, რომ მე მომეცი ფულები და ძვირფასი ნივთეულობა, თორემ ავაზაკები მინდორში გაგცარცვავენო. ავიღე და მივეცი ოც-დაათი მანეთი ფულად და სხვა ნივთეულობაც, ამ პირობით, რომ სულეიმანს ტფილისში ისევ უკან უნდა დაებრუნებინა. მას შემდეგ ეს კაცი აღარ მინახავს და ალი-ეფენდის გვამი-კი სხვა ურმით ჩამოვიტანე ტფილისშიო. პოლიციამ ალი ეფენდის გვამი საანატომიო კაბინეთში გაჰგზავნა.

*** რუსეთშიაცა და ჩვენშიაც, დღესასწაულს დღეს, ზაფხულობით, მონასტრებსა და ეკკლესიებში მრავალი ხალხი იკრიბება ხოლმე. იქვე გალავნებში და ახლო-მახლო ადგილებში სეირნობა და თამაშობა იმართება და ზოგჯერ ქეიფი და ღვინის სმაც. ამ ამბისთვის, როგორც გვატყობინებენ, ყურადღება უთხოვებია სასულიერო მთავრობას და განუზრახავს აღკრძალოს დღესასწაულების დროს არყითა და ღვინით ვაჭრობა მონასტრების გალავნებში და გალავანს გარეთ ტაძრების ახლო-მახლო. ამ თთვის დამლევს ამ საგნის შესახებ თურმე ბჭობა ექმნება უწმინდესს სინოდს.

*** კოჯორი: აქაურმა მოვაჭრემ ალექსანდრე ლაზარეს ძემ თაიროვმა სომხის ეკკლესიას შესწირა ოც-დაათი საჟენი მიწა შენობით და იმისმა ოჯახობამ—რამდენიმე ხატი.

### სამი ძმა

(ზღაპარი, სოფ. ჩარგალში (ფშავში) გაგონილი და ჩაწერილი თ. რ—შვილის მიერ)

იყო და არა იყო-რა, ერთი გლეხი კაცი, ჰყვანდა სამი ვაჟი. ძმებს ერთმანეთის წინ მზე არ ამოუხდებოდა, სცხოვრობდნენ სიყვარულით, მშვიდად და ბედნიერად. სამივე ძმა მონადირეები იყვნენ და მუდამ დღე ტყეში გაიჭრებოდნენ ხოლმე ნადირის საძებნელად და მოსაკლელად. ძმები ნადირობის დროს ერთმანეთისათვის ინატრებდნენ და ერთურთის გამარჯვება ყველას თავის გამარჯვებად მიაჩნდა. ღმერთიც ხელს უმართავდა და თითქმის ერთხელ არ დაბრუნდებოდნენ სახლში ხელ-ცარიელები. გავიდა ხანი. გლეხი-კაცი მოკვდა და ძმებსაც ქორწილობისა და ცოლის შერთვის დრო მოუვიდათ. როგორც რიგი და წესი იყო, ჯერ უფროსმა შეირთო ცოლი, ამას საშუალო ძმა მიჰყვა და სულ ბოლოს უმცროსმა ძმამ გადაიწერა ჯვარი.

ძმები წინანდებურადვე დადიოდნენ სანადიროდ, მაგრამ ეხლა სამის კაცით მეტნი იყვნენ და ნადირიც მეტი ეჭირებოდათ. საშოვარი-კი იმდენი აღარ იყო. ერთხელ ძმებმა მთელი დღე დაალამეს ტყეში ნადირის ძებნაში, მაგრამ ვერაფერი მოჰკლეს. ხელცარიელებს მოუხდებოდათ დაბრუნება მშიერ ცოლებთან, რო უმცროსს ძმას ტყეში მკვდარი კაცი არ ეპოვნა. შიმშილით შეწუხებულმა ვაჟმა გამოსჭრა ნაკუთლები ამ მკვდარს კაცს და წაუღო ცოლ-რძლებს. ქალებმა იცნეს კაცის ხორცი, მაგრამ მაინც შესწვეს და შეექცნენ. ქალებს კაცის ხორცი ძლიერ ეგემრიელათ და ჩუმად გადასწყვიტეს უმცროსის ძმის დაკვლა და შეჭმა. ქალებმა იფიქრეს და მოიგონეს, როგორ უნდა მოეკლათ ეს ვაჟი. იმათა სთქვეს: სხვა ძმები როს სანადიროდ წავლენ, უმცროსს მშვილდის ბაწარი დავუმალოთ, ველარ წავა იმათთან და აქ დარჩებაო. ქალებმა შეასრულეს თავისი განზრახული. მეორე დღეს ძმები ადრე ადგნენ სანადიროდ წასასვლელად, ჩაიწყეს ბუდეებში ისრები, მოიმართეს მხრებზედ მშვილდები და გასწიეს. უმცროსი ძმაც იმათთან იყო, მაგრამ ვერ ენახა, რომ მშვილდი უბაწრო ჰქონდა. ძმებმა საცილით წაიარეს მინდორი და გაეკიდნენ ტყიან-კინჭუხიან ხევებსა და მთებს მშიერ ვეფხვებივით.

კარგა გზა ჰქონდათ გაველილი ძმებს, რომ ერთ ადგილიდგან ერთი რქატოტიანი ირემი მოიგლიჯა და გაენთო ქარივით. ძმებმა მაშინვე ჩაჰყარეს ისრები მშვილდებში და გააყოლეს უკან ორბის ფთიანები. მოიგლიჯა უმცროსმა ძმამაც მშვილდი, ამოაძრო ბუდიდგან ყია-წითელი ისარი, მაგრამ, საუბედუროდ, ჯიხვის რქის ნათალზე ირმის ძარღვი აღარ იყო. უმცროსი ძმა დაღონდა, მიაფურთხა მშვილდს და მიაგდო მიწაზედ. უფროსმა ძმებმა დასჭრეს ირემი და გაჰყვნენ სისხლის კვალს. უმცროსი ძმაკი დაბრუნდა უკან მშვილდის საძებნელად. რაკი გზაზედ ვერ იპოვნა (ფშაველები იტყვიან: „ვერ მოხელა"), სახლში მივიდა. შინ ცოლი და რძლები დახვდნენ და ვითომ არაფერი ვიცითო, დაუწყეს კითხვა: „რად დაბრუნდი? რა უყავ სხვა ძმები? ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვათო?" ვაჟმა უამბო ყველაფერი და ისევ წასვლა დააპირა, მაგრამ ცოლმა დააბრუნა: „კაცო, სუ ტყეში ხარ, ერთხელ სახლში არ დარჩები, აქ იყავ, თავი დაიბანე, გამოიცვალეო. ვაჟმა აღარაფერი სთქვა და დარჩა. ქალებმა გაათბეს წყალი და დაუწყეს თავის ბანა. თავის ბანის დროს ცოლმა თავი უკან გადუწია ქმარს და ერთმა რძალმა-კი ყელში დანა გამოუსო. მოკლეს კაცი.

ლად[15]). გუჯრებში მემკვიდრეობითი, სამკვიდრო ყმა იშვიათია.

2) აყვანილი შვილობილი ჰხდება ყმად: „ვინც აიყვანოს ყმაწვილი, ან იპოვნოს და გაზარდოს, იმ კაცზედ ჰკიდია, თუ უნდა შვილად გაზრდის, უნდა თავის ყმად. თუ ყმობა დაარქვა, სამკვიდრო ყმა იქნება"[16]). დ. ფურცელაძე ამბობს, რომ დასავლეთ საქართველოში უკანონო შვილს ეკკლესია აძლევდა საეკკლესიო ყმებს ყმად. აქედამ წარმოსდგა მესამე წყარო ყმობისა[17]).

3) „თუ ნაბიჭვარი თავის ძმებს ეყმობა, სხვათ ხელი არ აქვსთ"[18]), ესე იგი, უკანონო შვილი ხდებოდა ძმების ყმად.

4) შეუძლებელი მოვალე რჩებოდა ყმად: „ესეც იქმნების, მოვალეს რომ კაცი ვერ აუვიდეს, საქონელი არა ჰქონდეს, კაცი მიეცემის იმ საქმით, რომ ურჯულოზედ არ გაყიდოს"[19]). სისხლის ფასის მიუცემლობა ხდიდა კაცს აგრეთვე ყმად[20]). ვაჭარი, რომელმაც ვალი ვერ გადაწყვიტა, ეძლეოდა მოვალეს დასაკმაყოფილებლად, მდივანი ძალას ატანდა გადაეწყვიტა აღებული ვალი და, თუ ვერ შეასრულებდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც მოვალეს ყმად რჩებოდა.

5) შეუძლებელი ქურდი, რომელიც შეიპარა სახლში, საცა ცოლ-ქმარს ეძინათ და მოპარული ერთი შვიდად ვერ გადაიხადა, მიეცემოდა გაქურდულს „თავის ცოლ-შვილით, ქონებით და ნასყიდით"[21]). ჩვეულება ნაპარავის ერთი შვიდად გადახდისა აქამდის დარჩენილია მთაში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში[22]).

6) გლეხი, რომელმაც შეირთო ბატონის გოგო, ან თავისუფალი ქალი გათხოვდა ყმაზედ, მაშინ იგი ხდება ბატონის „მკვიდრ" ყმად[23]). ასეთივე ჩვეულება იყო ფრანკთა შორის, რომელზედაც გვაუწყებს ძველი იმათი კანონ-მდებლობა Lex Salica და როგორც ჩვენში თავისუფალი კაცი, ან ქალი, მონასთან ცოლ-ქმრობით დაკავშირებული, ჰკარგავს თავისუფლებას. si vero ingenuam puellam de illis suam voluntatem servum secuta fuerit ingenuitatem suam perdit. მონამ თუ მოიტაცა თავისუფალი ქალი, სიკვდილით ისჯება «devita conponat»[24]). ჩვენში ასე სასტიკად არა სჯიდნენ ყმას თავისუფალ ქალთან შეუღლებისათვის

7. თუ ბატონის გოგოსთან უკანონო კავშირი დაიჭირეს, იმის გამაუპატიურებელი ხდება ბატონის ყმად[25]) კერძოთ გოგოს ბატონისა, რომლის ნათესავების უფლება არა ვრცელდებოდა ყმაზედ (личнымъ крестьяниномъ) პაპუა გახდა კობიევის ყმად, მაგრამ ნათესავებს ამ ბატონისას არ ეყმობა გოგოს შემაცდენელი კაცი[26]).

8. ვინც შიმშილობაში გამოჰკვება გლეხი ცოლშვილით, ხდება იგი პირველის მემკვიდრეობით ყმად[27]).

9. ვინც გამოიყიდა ტყვეობიდგან გლეხი, მისცა მას პური, ქერი, საქონელი, მიწა, ვენახი, იგი რჩება სამუდამო ყმად („на вѣчныя времена")[28]).

10. ვინც გადაუწყვიტა ვალი გლეხს, მისცა იმის ქალს მზითევი, იგი მიდის ცოლ-შვილით ყმად ვალის გადამხდელთან[29]).

11. ვინც ბრალდებული ხდება კაცის მოკვლაში და იმის თოფ-იარაღის მითვისებაში, იგი ხდება მოკლულის ბატონის ყმად ცოლ-შვილით[30]).

12. ვინც გაჰყიდდა თავის თავს, ან ცოლ შვილსა, იღებდა ფასს, რამდენზედაც გულს აჯერებდა, იგი მიდიოდა მსყიდველის ყმად[31]).

ამდენის წყაროების წყალობით ბატონ-ყმობას მეტი სიმტკიცე და გაძლიერება ეძლეოდა. თვით განთავისუფლებულნი ეძებდნენ ბატონს და პატრონს. აქედამ ორი გზა კიდევ რჩება ბატონ-ყმობის შესავსებლად:

13. თავის ნებით ყმობა უცხო მხრიდამ გადმოსულის მიერ.

14 განთავისუფლებულის მიერ (libertinus) ბატონის და პატრონის ძებნა[32]).

შეგვიძლიან ასეთი გრადაცია წარმოვიდგინოთ, რომელიც დაგვიხატავს ბატონ-ყმობის ელემენტებს და იმის აგენტების სხვა-და-სხვა მდგომარეობას. სუყველაზე ძლიერ შევიწროებული იყო მონად აყვანილი ტყვე— სყიდულზე უფრო ყმა არის[33]); სყიდული წყალობის გზაზედ ქვეით იდგა: მას და იმის ქვრივს ნაკლები ქონებრივი უფლება აქვს, ვიდრე ბოძებულს—«თუ ნასყიდი იყოს, მისი საქონელი ბატონს ეხელთვის... თუ ან წყალობის ყმა იყვეს, ან პატრონის მინაცემი, იმის ცოლს უფრო ცოტა რამ გამოართვას»[34]). ამათზე უკეთესს მდგომარეობაში იყო თავის ნებით ყმად შესული, რომელიც გადადის ერთის ბატონისაგან მეორესთან. ბატონის «ხელ-წერილით» იგი ყმა-კი არ არის, არამედ „პატრონის და მფარველის" მძებნელი[35]). დროებით მოვალე (nexus), თუ ვალს გადასწყვეტდა, ხდებოდა აზატი, თავისუფალი კაცი[36]). ეს განსხვავების ლარი ღრმად, არ არის გატარებული არც კანონმდებლობაში, არც პრაქტიკაში. ბერძენთა კანონებმა იქონიეს საშინელი გავლენა[37]) ძველს ჩვეულებაზედ საქართველოში. თუმცა კაცთ-მოყვარე ვახტანგი სცდილობდა შეემცირებინა იურისდიქცია ბატონებისა ყმებზედ (ნურა კაცი თავის ყმას ნუ შეაწუხებს", სწერს ვახტანგი), მაგრამ პრაქტიკამ კიდევ წინ გადასდგა ფეხი, უფრო ძლიერ შეავიწროა გლეხი, ვიდრე ვახტანგის კანონები აძლევდნენ ნებას.

ა. ხახანაშვილი

(შემდეგი იქნება)

15) Крест. гр., 6, 7, 49.

16) ვახტ., კან., § 261.

17) Крест. гр. შენიშვნა დ. ფურცელაძისა, გვ. 114.

18) ვახტ., კან., § 210.

19) პატუნაშვილი ხდება თუმანიშვილის ყმად, რადგან ვალი ვერ გადაწყვიტა. Кр. гр., გვ. 9; ნახე კიდევ Крес. гр., 36, 41. ვახტ. კან., § 142.

20) Крес. гр., გვ. 57.

21) ვახტ., კან., § 151.

22) იხ. „ივერია" 1888 წ. № 185. ჩემი წერილი „მგზავრის დღიურიდამ".

23) ალბუღ. კანონები, §§ 73 და 74. ср. Рус. Правда, 103/120.

24) Lex Salica, § 13. De rapto ingenuorum.

25) Кр. гр., გვ. 8.

26) Кр. гр., გვ. 62.

27) Кр. гр., გვ. 6, 14, 67. ვახტ. კან., § 200.

28) Кр. гр., 3, 17, 30.

29) Кр. гр., 49. ср., Русская Правда, § 102/119; ვახტ. კან., § 200.

30) Кр. гр., 11.

31) Introd Brosset, 127; Кр. гр., 74, 103—4.

32) Двор. гр., 1782 წ.; Кр. гр., 41. Brosset Introduction, 82. Церк. гудж., 19, 55, 87, 153 და სხვ.

33) ვახტ. კან., § 254.

34) ვახტ. კან., § 248.

35) Кр. гр., 29, 31. Церк. гудж., 84, 87. „ბატონი ყმას უნდა როგორც შვილს ისე მოჰქცეოდა". Кр. гр., 56.

36) ალბუღას კან., § 72; Кр. гр., 6. როგორც რუსეთში „неустойка"-ს იხდიდნენ, ისეც ჩვენში ერთი ბატონის ყმად რჩებოდა.

37) გაავრცელეს წარმოდგენა. „ყმისა ავლა ბატონისა არის". რომ ბერძენთა კანონები მოქმედობდნენ ჩვენში, ეჭვი არ არის, რადგანაც სიგელებში ხშირად ნახავთ მითითებას ბერძენთა კანონებზე. მაგ., Кр. гр., გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე ადგებიან ეს ქალები, გაახურებენ ცეცხლს, დახჭრიან ამ ვაჟს, ჩაჰყრიან ქვაბში და დაუწყებენ ხარშვას... მაგრამ ამ დროს ქვაბში მზემ ჩაუყო ყური და ხორცი ნახშირივით შავად გაუხადა. ქალებმა გადმოიღეს ქვაბი, მაგრამ რაკი შავი ხორცი ნახეს, გული აღარ მიუვიდათ, გათხარეს ორმო და ჩაასხეს შიგ. საღამოზედ ძმები დაბრუნდნენ, მოიტანეს ირემი და იკითხეს ძმის მოსვლა. ქალებმა უარი უთხრეს: „აქ არ მოსულა, ჩვენ არავის გვინახავსო!“ ძმები დაღონდნენ. „ალბად ხიფათი თუ რამ შეემთხვა გზაზედაო“, სთქვეს ძმებმა და მაშინვე საძებნელად წავიდნენ. ორივე ძმა ერთად დაიოდნენ და დაეძებდნენ დაკარგულს ძმას, მაგრამ სად იპოვნიდნენ. ძმებს ძმის მოსვლის იმედი გადაუწყდათ. აღარავინ იცოდა, სად მოეძებნათ დაკარგული ძმა. ბოლოს საშუალმა ძმამ უთხრა უფროსს ძმას: „ძმაო, სხვა გზა აღარა გვაქვს, უნდა წავიდეთ და ჩვენი ვარამი მზის დედას შევჩივლოთო!“

უფროსი ძმა დააგდო სახლის მოსავლელად საშუალმა ძმამ, აიღო შვილდი, ახსენა ცისა და დედამიწის გამჩენი და დაღონებულ-დაძმარებული გაუდგა გზას. ბევრი გზა იარა, ბევრი ქვეყანა გავლო და ერთს მხარეში უნახავი საქმე ნახა: ერთს ადგილს მიწას ჰხნავდნენ, შეებათ თორმეტი-უღელა ხარი, გუთანი და იმის მორთულობა სულ რკინისა და სპილენძისა იყო. ეზიდებოდნენ ხარები, მაგრამ ვერაფერსა ჰხნავდნენ და ვერც არაფერს სჩიჩქნიდნენ. საშუალო ძმამ გამარჯვება უთხრა მხვნელებს და ჩამოჯდა კვალზედ. მგზავრმა და მხვნელებმა ერთმანეთს ამბავი ჰკითხეს. ვაჟმა უამბო ძმის დაკარგვა და უამბო კიდეც, რომ მზის დედასთან მივდივარ, იმას უნდა ვსთხოვო შველაო. მხვნელებს ძალიან გაეხარდა რომ გაიგეს, ვაჟი მზის დედასთან მიდისო და დაუწყეს თხოვნა: ეს არის ჩვენი სულის ჩამდგმელი, ვებრალებით, ამ რკინის გუთანს ხო ჰხედავ, ხარებს წელები გვიწყდება და ვერაფერი მოგვიხნავს, გვიშველე რამე და წამალი მოგვიტანეო. ვაჟმა პირობა მისცა მეგუთნეებს, რომ აგისრულებთ თქვენს თხოვნასაო, და გასწია ისევ მზის დედისაკენ.

იარა მგზავრმა, იარა და გავიდა ერთს ველში. მთელი მინდორი ცხვრების ფარებით იყო დაჭერილი. ცხვარი აქ თავის დღეში არ გაეკრიჭათ და მატყლი ერკემლებს მიწაზედ ეთრეოდათ. ვაჟმა მწყემსებს გამარჯვება უთხრა. მეცხვარეებმა მიიპატიჟეს, დაუკლეს ცხვარი და გაუმასპინძლდნენ გულ-უხვად. მგზავრს ჰშიოდა და დონივრადაც მიაძლა ცხვრის ხორცს. მეცხვარეებმა ჰკითხეს ვაჟს ამბავი და რაკი გაიგეს, რომ მზის დედასთან მიდიოდა, სთხოვეს: გვიშველე რამე, დაგვდე სიკეთე და წამალი რამ მოგვიტანე, თორემ ცხვარი მატყლისაგან დაგვეხოცებაო. კარგით, უთხრა ვაჟმა: ვეცდები ღვთითა და დოვლათითაო.

გამოეთხოვა ვაჟი მწყემსებს, გადუხადა მადლი სადილის ჭმევისთვის და გაუდგა თავის გზას. იარა, იარა, გალია ქვეყანა და ვნახოთ მიადგა ერთს ირემს: გაზრდია უშველებელი რქები, ერთი ტოტი აძაბულა მაღლა, მიჰხირებია ცას და მეორე ტოტი ქვეცას გასულა. ვაჟს ირემი ძლიერ გაუკვირდა, მიუახლოვდა და დაუწყო გაკვირვებით ცქერა. ირემმა დაინახა ვაჟი და უთხრა: «რა გიკვირს, რა ჰნახე უხილავიო? ან რამ მოგიყვანა აქ, სადაც ჯერ ერთი სულიერი არ მოსულა, ეგრე რა საქმე გაგჭირვებიაო». ვაჟმა უამბო ძმის დაკარგვა და უთხრა, რომ მზის დედასთან უნდა ავიდეო. ირემმა უთხრა: «ოღონდ მეც მომიტანე წამალი და ჩემს რქებზე ადიო. პირში-კი სათითე ჩაიდევ, რომ არ დაგეძინოს, თორემ გადმოვარდები და დაიღუპებიო. არ დაივიწყო და მეც მომიტანე წამალი, რომ ამოდენა რქა არ გამეზარდოსო».

ვაჟი დაადგა ირმის რქას და გასწია ზევით, ავიდა ზეცას და მივიდა მზის დედასთან. მზის დედა ტკბილად დაუხვდა ვაჟს და დაუწყო კითხვა: «რა გაგჭირვებია ეგრე, შვილო, რომ ჩემთან წამოსულხარო? ვაჟმა უთხრა, რომ ძმა დავკარგეთ, ვეძებთ, მოვიარეთ მთელი ქვეყანა, მაგრამ არსად არისო. მზის დედამ უპასუხა, რომ მე არაფერი ვიცი, აი კიდობანში დაგმალავ, ჩემი შვილი რომ მოვა, იმას გამოვკითხავ, ქვეყანაზედ ის დადის, თუ ეცოდინება, იმას ეცოდინება, ის მიამბობს, შენ ყური დაუგდე და იქნება გაიგო რამეო. ვაჟი დაიმალა მალე აკრიფა მზემ თავის სხივები ქვეყნიდგან და მივიდა დედასთან. დედა ჯერ გადაეხვია შვილს და მერე პურის საჭმელად დასო. შუა პურის ჭამაზე რომ მივიდნენ, დედამ ჰკითხა შვილს:

— შვილო, მუდამ ქვეყანაზედ დადიხარ, ყველაფერს ჰხედავ და ერთხელ-კი არაფერს მიამბობო!

მზემ უთხრა:

— დედავ, სულიერის სუნი მომდისო.

— არა, შვილო, აქ სულიერს რა უნდაო, უთხრა დედამ: საღამოზედ ქალი ვინმე გადმოჰყრიდა ნაგავს და იმის სუნი გამოგყვებოდაო. (საღამოზედ ნაგვის გადაყრა არ ვარგაო, იტყვის ხალხი).

— დიდი ხანია, დედავ, ქვეყანაზედ დავდივარ, ბევრის ცოდვა-ბრალის შემსწრე ვარ, მაგრამ ამას წინად რომ ერთს ცოდვა-ბრალს შევესწარ, იმისთანა აღარაფერი მინახავო, უთხრა მზემ. სამი ძმა იყო. ისე უყვარდათ ძმებს ერთმანეთი, რომ ერთიერთის წინ მზე არ ამოუხდებოდა, სულ ერთიერთის მზესა ჰფიცულობდნენ. ერთხელ სანადიროდ წავიდნენ. უმცროსს ძმას ცოლ-რძლებმა მშვილდის ბაწარი დაუმალეს. როდესაც ის ბაწრისთვის სახლში დაბრუნდა, ცოლრძლებმა მოატყუილეს და თავის ბანაში ყელი გამოსჭრეს. დასჭრეს, მერე ჩაჰყარეს ქვაბში მოსახარშად, მაგრამ ყური ჩავუშვი და დავუნახშირე. ვეღარა სჭამეს, გაიტანეს, ამოთხარეს ორმო და შიგ ჩაასხეს. იმას ჩემის პირის ნაბანი რომ მოჰხვდეს, გაცოცხლდება მაშინათვეო. ერთს ადგილას კიდევ ერთი გუთანი ვნახე, რკინის უღელი აქვს, რკინის ტაბიკები, რკინის ლვილი, ხარები ბევრი უბია, მაგრამ მაინც ვერაფერს ჰხნავენ; იმათ რომ უღლები, ტაბიკები, ლვილი და ყველაფერი, ერთის სიტყვით, სახნისსა და საკვეთელს გარდა, ხისა გაუკეთონ, ცოტა ხარებს შეაბმენ და მეტს მოჰხვნენო ერთს ადგილას ცხვარი ვნახე, გაუკრეჭაობით მატყლი წელსა სწყვეტს და არ იციან-კი რა უშველონ. აილონ გალესილი რკინა, ორად მოხარონ, წააქციონ ცხვრები, ფეხები გაუკრან და გაჰკრიჭონ. ცხვარიც უფრო გასუქდება და მატყლისას ტანსაცმელსაც მოიმზადებენ. ერთი ირემია, ისეთი რქები აქვს, რომ ერთი ტოტი ცაში აქვს და ერთი ქვეცასა. იმან რომ მარტის წყალი დალიოს, მაისის დამლევს გასცვივა რქებიო... „ყურებიანო, გესმოდესთ!“ დაიძახა მზის დედამ. მზემ ჰკითხა: „დედავ, რას იძახიო?“ — იმასა, შვილო, რომ ქვეყანაზედ გაიგონონო.

მეორეს დღეს მზემ პირის ბანა დაიწყო. დედამ მიუტანა ჯამი და უთხრა: დაიცა, შვილო, ჯამში დაიბანეო. მზემ პირი დაიბანა და დედამკი შეინახა იმის პირის ნაბანი *). მეორე საღამოს რაკი მზე დაბრუნდა, დედამ კიდევ ჰკითხა: „შვილო, კიდევ რა ჰნახეო?“ მზემ ისევ ის უამბო. ვაჟს მზის ლაპარაკი ესმოდა წმინდად. მესამე დღეს ვაჟს მისცა მზის დედამ შვილის პირის ნაბანი და დალოცა გზა. ვაჟმა ასწავლა ირემს მზისაგან ნასწავლი წამალი, გზაზედ მეცხვარეებს შეხვდა, იმათაც ასწავლა, მერე მხვნელებს—იმათაც. მას შემდეგ ირემი მუდამ იყრეინებს რქებს, ცხვარსა ჰკრეჭენ და ხის გუთნითა ჰხნენ. მოვიდა სახლში საშუალო ძმა, იპოვნეს ორმო, ამოიღოს ძმის ძვლები, დააწყეს რიგზედ, გადაასხეს მზის პირის ნაბანი და გააცოცხლეს. ცოლები დახოცეს და თავად-კი ეხლაც მზის დედასთან ცოცხლები არიან, რაკი ქვეყანას მადლი უყვეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

*) მზის პირის ნაბანი შვიდ-მაისობის წვიმა არისო, იტყვიან.

# უცხოეთი

საფრანგეთი. როგორც სჩანს მთავარ პროკურორის საბრალ-მდებლო ოქმიდამ, გამოძიებამ შემდეგი სხვა-და-სხვა გარემოება გამოარკვია ბულანჟესა და იმის დანაშაულობის შესახებ:

1882 წელს ბულანჟე იყო ბრიგადის გენერალად და მერე დაინიშნა სამხედრო სამინისტროში ქვეითის ჯარების დეპარტემენტის დირექტორად. სწორედ ამ დროს გამოიჩინა გენერალმა უსაზღვრო პატივის-მოყვარეობა.

ჯერ დაიწყო სახელის ძებნა. ამისათვის ან თვითვე დასწერა და ან სხვას დააწერინა თავისი ბიოგრაფია, ჩაართვევინა შიგ თავისი ფოტოგრაფიული სურათი, რომელშიაც გამოხატული იყო ცხენზედ მჯდომარედ. შემდეგ ბულანჟემ სთხოვა მთავრობას, რომ ეს წიგნი გავრცელებულიყო ჯარსა და მხედრობაში.

ამავე დროს ბულანჟე დაუახლოვდა ყველა საპოლიტიკო დასებს, მიიმხრო სხვა-და-სხვა საეჭვო კაცნი და ისე იქცეოდა, რომ ვითომ გენერალი ვარ და დიდი საპოლიტიკო მნიშვნელობა მაქვსო.

1884 წელს დივიზიის გენერლად იქმნა დანიშნული და გაიგზავნა ტუნისში იქაურის საოკუპაციო დივიზიის კომანდირად.

ტუნისში ბულანჟემ თავის განზრახვას თავი არ დაანება. იქ გაიჩინა აგენტი, ვილაც მოხუცებული დედაკაცი, რომელიც ციხეში იყო დაპატიმრებული დ ნაშაულობისათვის და რომელიც საყვარლადა ჰყვანდა ბულანჟეს. მეორე აგენტი თვით პარიჟში გაიჩინა. ეს მეორე აგენტი მწერალი იყო, სამჯერ დასჯილი ავ-ხელობისათვის. ამ აგენტის მოვალეობა იყო მოსვენება არ მიეცა ტუნისის რეზიდენტისათვის და [illegible] ის გენერლები, რომელიც რაიმე მიზეზის გამო ბულანჟეს არ მოსწონდა.

უფრო ცხარე წერილებს თვით ბულანჟე უგზავნიდა თავისს აგენტს და ისეც სცდილობდა ეს წერილები დაებეჭდა როგორმე.

რაკი ყოველ ამისათვის ფული იყო საჭირო, გენერალმა და აგენტმა უკანონო გზას მიჰმართეს საჭირო ფულის მოსაპოვებლად. მოურიგდნენ და გაიყვეს შუა 210,000 ფრანკი, ქრთამად აღებული ბულანჟესაგან. ეს ქრთამი მისცა გენერალს იმან, ვისგანაც დივიზია ყავასა ჰხარჯავდა. ამის გარდა ქრთამი აიღო ბულანჟემ ეპოლეტების გამსყიდველისაგანაც. პარიჟში დაბრუნების შემდეგაც ბულანჟემ კვლავ განაგრძო თავისი მოქმედება და დაუწყო ძებნა მომხრეებს, როგორც საპოლიტიკო მოღვაწეთა შორის, ისე ჯარშიაც

1886 წელს ბულანჟე დაინიშნა სამხედრო მინისტრად. ახლა უფრო გაძლიერდა გენერალი და, რასაკვირველია, უფრო თამამად დაიწყო მოქმედება. მინისტრობაში ბულანჟე უსირცხვილოდა და უნამუსოდ მოჰყვა თავის ქებას და თავის დიდებას და ავრცელებდა მთელს საფრანგეთში, რომ მე ვარ, რაცა ვარო. გენერალმა დაამზადებინა 44 სხვა-და-სხვა ნაირი თავისი პორტრეტი, იმათში თექვსმეტზე მოთავსებულია მოკლე ბიოგრაფია იმისი მდაბიო ხალხისათვის საკითხავად ერთს სურათზე ბულანჟე გამოხატულია ფარდულ ქვეშ ისე, თითქო ხელმწიფეაო. ქვეშ აწერია სურათს: „ბულანჟე — მფარველი და პროტექტორი“. პარიჟში რომ ვერ ასწრობდნენ ამ სურათების ბეჭდვას, აბეჭდვინებდნენ კიდევ გერმანიაში, ვანერბექში, ჰამბურგს ახლო.

მწერლობაც ხელს უმართავდა ბულანჟეს და საშინელის უსირცხვილობით აქებდა და ადიდებდა. 17 თვეე იყო ბულანჟე მინისტრად და, როგორც თვით უწერია თავის დავთარში, ამ ხნის განმავლობაში მწერლებისთვის შესაწევრად მიუცია 242,693 ფრანკი.

ამასობაში საიდუმლო იმისი მოქმედება არ შეწყდარა. ბულანჟემ გაიჩინა მესამე აგენტიცა, რომელიც მერე სამსჯავრომ დასაჯა ქალის გაუპატიურებისათვის ძალადობით. მეორე აგენტიცა ჰყვანდა და იმასაც სასამართლომ ხუთის თვეით ციხე გადუწყვიტა, თუმცა ბულანჟე მაშინ მინისტრი იყო და ბევრს ეცადა თავისი მარჯვენა ხელი როგორმე დაეხსნა გაჭირებიდამ.

დაჰკარგა თუ არა ბულანჟემ მინისტრობა, იმისი ამხანაგები და მეგობრები მხნედ შეუდგნენ მეცადინეობას, რომ ახალ სამინისტროსათვის კვლავ ბულანჟე მოეხვიათ თავზე და დაემტკიცებინათ ქვეყნისათვის, რომ ბულანჟე უსაჭიროესი კაცია და დიდი გამწვრთნელი ჯარისაო. მაგრამ გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ბულანჟეს გაზვიადებით მიაწერეს ნიჭი და უნარი ჯარის დიდის გამწვრთნელისა.

მინისტრად ყოფნის დროს ბევრი უკანონო საქმე ჩაიდინა ბულანჟემ და ისე ექცეოდა სახელმწიფო ფულს, თითქო სრული მისი კერძო საკუთრებააო. საქმე ის არის, რომ სამხედრო მინისტრის ხელშია ყოველ წელს რამდენიმე ათასი და ასი ათასი ფრანკი სხვა-და-სხვა საიდუმლო სამხედრო ხარჯისათვის. ეს ფული მინისტრს შეუძლიან ისე დახარჯოს, რომ არავის არავითარი ანგარიში არ მისცეს. ამ საგნისათვისვე დანიშნულია საიდუმლო კასა. იმ ხანად ყოველ წლივ მინისტრს ეძლევოდა ასე სახარჯოდ 700,000 ფრანკი. წინანდელი მინისტრები სცდილობდნენ ბევრი არა დაეხარჯათ-რა აქედამ და გადარჩენილს ფულს ინახავდნენ კასაში, რომ ვინიცობაა რაიმე დიდი გაჭირება დასდგომოდა ჯარსა და მხედრობას, ამ კასისათვის მიემართნათ. ბულანჟე-კი სულ სხვაფრივ მოიქცა. არამც თუ ის ფული დახარჯა, რაიცა ყოველ წლივ ეძლეოდა, არამედ საიდუმლო კასიდამაც ბლომად ამოიღო. დახარჯა ყოველივე ესე არა ჯარისა და მხედრობის ნამდვილის საჭიროებისათვის, არამედ თავის საკუთარის განზრახვის ასასრულებლადა და განსახორციელებლად. ბულანჟემ მოაკლო კასას 279,000 ფრანკი. აქედამ მისცა 140,000 სამხედრო კლუბს, რომელსაც სამაგიეროდ იმისი პლანები უნდა შეესრულებინა. ამას გარდა, წინა დღით, როცა დათხოვნილი იყო მინისტრობიდამ და უნდა მეორე დღეს დაეტოვებინა სახლი მინისტრისა, წაიღო 30,000 ფრანკი და თითონ მიითვისა. დანარჩენი 109,000 ფრანკი ისევე დახარჯა, როგორც სხვა ყოველ-წლიური საიდუმლო სახარჯოდ გადადებული ფული.

ეს ფულებიც აი როგორ დაჰხარჯაო 60,000 ფრანკი ნოტარიუსს წარუდგინა თავის საკუთარის ვალების გადასახდელად. 10,000 ფრანკი მისცა ბილეთებში, რომელიც თავისთვის იყიდა, 6,000 ფრანკი მისცა თავის ხელ-ქვეითს, რომელსაც თავისს საკუთარს საქმეებს აკეთებინებდა, გაუამხანაგდა ერთის გაზეთის რედაქტორს და იზარალა 30,000 ფრანკი, რომელიც იმ ფულებითვე გადიხადა. ამ ფულებიდამვე აძლევდა თავის მომხრეებს შესაწევარს. მორთო ორი სახლი თავისთვის და მარტო შპალიერის გასაკვრელად გადიხადა 12,000 ფრანკი.

როცა სამინისტრო დაეცა და გენერალს სხვა ადგილი მისცეს პარიჟს გარეშე, არ ინდომა წასვლა: პარიჟში საქმეები მაქვსო, და ეს საქმეები ის იყო, რომ ამ დროს მან უკვე დაიწყო შეთქმულობა დილონთანა და როშფორთან ერთად...

# წვრილი ამბები

„Revue des Deux Mondes“-ში დაბეჭდილია ყიპის კომედია. ამ კომედიაში აწერილი საფრანგეთის ქალთა ზნე-ჩვეულება სრულიად არა ჰგავს თურმე იმას, როგორის ზნე-ჩვეულებისაც აქამდე ფრანგის ქალი გვეგონა. ამ კომედიის დანახვაზედ კაცი უნდა გაოცდეს მხოლოდ, რომ ასე როგორ შეიცვალა საფრანგეთის წარჩინებულ საზოგადოების ზნე-ჩვეულებაო. რაღა თქმა უნდა, ამ ცვლილებაში დიდი გავლენა ექნებოდათ ინგლისელებსა და ამერიკელებს, რომელნიც პარიჟში ამ ჟამად ბლომად სცხოვრობენ და თითქმის კოლონიებად არიან დასახლებულნი. წინად პარიჟელს ქალებს ძალიან ეშინოდათ, მზემ პირი არ დაგვწვასო, და გარეთ არ გამოდიოდნენ, ოთხ კედელს შუა ისხდნენ, ეხ-

ლა-კი სანადიროდ დადიან თურმე, ნავით დასეირნობენ და ფეხზედ ქალაქურს თამაშობენ. კაცებთან ხომ სწორედ ისე იქცევიან, როგორც ამერიკელები. აი ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ელაპარაკება უმაწვილი ქალი მამაკაცს.

ბალია გამართული ახალგაზდა ქალებისათვის, ესრედ წოდებული „თეთრი ბალი“. უმაწვილი ქალი, თხუთმეტის წლის ლულუ, ერთს თავისთან მოცეკვავე მამაკაცთაგანს ეხასხება.

ქიუვიზი. სასოწარკვეთილებაში ვარ, რომ ფეხი დაგადგი...

ლულუ. არა უშავს-რა, არაფერია!.. კაცი თავის ფეხების მაგიერ პასუხს ხომ ვერ აგებს (შესცქერის ქიუვიზის უშველებელს ფეხებს). განსაკუთრებით თქვენა მერე!..

ქიუვიზი. მართალსა ბძანებთ, მაგრამ...

ლულუ. მხოლოდ ეს-კი უნდა შეგნიშნოთ, რომ ტყუილად აკვრევინებთ ქუსლებზე ლურსმნებს!.. საზოგადოდ, როცა კაცი ბალში აპირებს წასვლას, მაშინ...

ქიუვიზი. ჩემს ჩექმებს ლურსმნები არა აქვს ქუსლებზე!

ლულუ (იცინის). მართლა? მაშ ბუნებითვე გაქვთ აგეთი ფეხები!..

შერცხვენილი ქიუვიზი ჭმორდება უმაწვილ ქალს.

ქსენტრაილი. რა დაგიშავათ მაგ საბრალო ქიუვიზმა.

ლულუ. ფეხი დამადგა... დამადგა და მერე როგორ, სულ ერთიანად გამიჭყლიტა ფეხი. (ფეხს გაუშვერს). შეხედეთ... აგერ... წინდაც-კი გამიხია!.. ნახვეს ხომ ჭხედავთ... (ფეხს მალიან მაღლა იშვერს, რომ ქსენტრაილს ნახვეი დაანახვოს).

ქსენტრაილი. დიაღ... დიაღ... ვხედავ ნახვეს...

ლულუ. თქვენც ცუდად აღზრდილი გგონივართ განა?

ქსენტრაილი. (იცინის). არა, არა, მაგრამ... ახირებული ქალი-კი ხართ.

ლულუ. ვიცი, ვიცი, რომ ცუდად ვარ აღზრდილი, მაგრამ-რა ვქნა, ბევრს ვცდილობ და ხასიათი-კი, ვერ იქნა, ვერ გამოვიცვალე!..

ქსენტრაილი. ეგ უკეთესი!.. მალიან სამწუხარო იქნებოდა, რომ...

ლულუ. იცით მამას ავიცრები (ლულუს მამა ჯარის უფროსია) რას მეძახიან—„ბეღურა ჩიტს“. ისინი მარწმუნებენ, რომ შენც ბეღურა ჩიტსავით კადნიერი და გაუმაძღარი ხარო...

ეს კიდევ რა არის, კომედიის უმთავრესი გმირი ქალი აცხადებს, რომ არამც თუ პატიოსანი უმაწვილი ქალი მინდა ვიყო, არამედ პატიოსანი ადამიანიცაო. ასეთი სიტყვები-კი მგონი ამ ბოლოს დრომდე ჯერ არც ერთს საფრანგეთის უმაწვილს ქალს არ ეთქვას.

◆◆

# დეპეშა

18 მკათათვე

პეტერბურგი. გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო საბჭოსი, რომ ნება მიეცეს საერო განათლების მინისტრს სხვა-და-სხვა საჭირო ზომა შემოიღოს რუსულს ენაზე საგნების სასწავლებლად დერპტის სამოსწავლო ოლქის სკოლებში, გარდა ლიუტერანთა სამღვთო წერილისა, გერმანულისა და ადგილობრივის ენებისა. აგრეთვე გამოცხადებულია, რომ პეტრეს სამეურნეო და სატყეო აკადემია და სატყეო ინსტიტუტი გადაკეთებულ იქმნას სასოფლო-სამეურნეო აკადემიად.

გამოცხადებულია წესდება პირველის მონადირეთა საზოგადოებისა. ამ საზოგადოებას აზრად აქვს ოფიცრები შეაჩვიოს სიმარჯვესა და მოხერხებას.

პეტერბურგის ბირჟა, 18 მკათათვე.

| | მყიდველ-ნი | გამყიდველ-ნი | გაყიდუ-ლნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . . | — „ | — „ | 7 74 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 154½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 264¾ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ეკვა-ფშაველას (ლ რაზიკაშვილის)

„მოთხრობანი“

ფასი 30 კაპ.

ამავე მაღაზიაში ისყიდება
ი. გ. ჭავჭავაძის
მოთხრობა
„გლახის ნაამბობი“
ფასი 25 კაპ.

(10—4)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 20 სექტემბერს 1889 წლისას, დილის 12 საათზედ, ბანკის სადგომში დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა იმ მამულისა, რომელიც ამ ბანკშია დაგირავებული და რომელიც ეკუთვნის სტეფანე პროკოპის ძეს პროკოპოვიჩს. ეს მამული ტფილისის პირველს ნაწილშია, ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე. მამულის გასყიდვა შეიძლება მთლიანადაც და ნაწილ-ნაწილადაც, როგორც თვით მსყიდველნი ისურვებენ. დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება თვით ბანკში ყოველ დღე, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე (3—1)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—21)

ისყიდება

„საქართველოს სამოთხე“

ოც-და-ერთი წიგნი არის კიდევ დარჩენილი.

ფასი თითო წიგნისა ერთი თუმანი, გაგზავნით თერთმეტი მანათი.

ადრესი: ტფილისი, ბაგრატიონის ქუჩა, № 16. საბინინის სადგომი.

(5—3)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ცხოვრება ღირსისა მარიამ მან კაპ.
ეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . „ 10
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . „ 60
თორნიკე ერისთავი . . . 1
საყმაწვილო ამბები . . . „ 40
ნინო ორბელიანის ლექსები „ 40
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. „ 80
სურამის ციხე . . . . „ 20
გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . „ 25
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . „ 40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . „ 30
მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . „ 25
სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . „ 10
მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . „ 5
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . „ 40
ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . „ 20
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . 3 50
გულივერის მოგზაურობა . „ 50
სამ გვარი სიყვარული, აკაკისა „ 30
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . „ 30
ვაზის ობი . . . . . . . „ 10
ლოცვანი, ღამბაშიძისა . . „ 30
ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . 1 „
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. „ 40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . 1 50
II ნაწ. . . . . . . . 1 50

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—14)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108. (50—14)

დიდი სააბრეშუმო ქარხნები

მოლტიფაოში (კორსიკის კუნძულზედ) და ვიზანს (გარდში)

ცელიულიარის აბრეშუმის თესლი (პასტერის სისტემისამებრ)

BERTRAND ET ALOISI




ყვითელი და თეთრი პარკი.

ვისაც Bertrand et Aloïsi-ს თესლის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ტფილისის აბრეშუმის სტანციას 1889 წლის ოქტომბრის თვიდგან დაწყებული. (10—3)


Доз. ценз Тифлисъ 19-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე